პარალელების სქემის გამოყენება

ავტორი: ნათია უჩავა

სქემების გამოყენებით მასწავლებელი პატარა მკითხველებს ეხმარება ტექსტის უკეთ გააზრებაში, პარალელების გავლებაში, სიტყვებთან ვერბალური თუ ვიზუალური ასოციაციების გაბმაში და სხვა. სასურველია, სქემები სხვადასხვა ტიპისა იყოს – ეს უფრო საინტერესოს გახდის სასწავლო პროცესს.

უპირველესად, უნდა შეირჩეს ტექსტის შესაბამისი სქემა: რისი მიღწევა გვინდა მისი მეშვეობით – ლექსიკური ერთეულების დაუფლება, პერსონაჟების დახასიათება, მთავარი და მეორეხარისხოვანი ინფორმაციის გარჩევა, ტექსტის სტრუქტურის აღქმა თუ სხვა რამ?

სქემაზე მუშაობა, კონკრეტული სტრატეგიების გავარჯიშებასთან ერთად, ხელს უწყობს მოსწავლეებში დამოუკიდებელი უნარების განვითარებას. გაგება-გააზრების სტრატეგიების დაუფლება უფრო სწრაფად ხდება. სქემის გამოყენება კითხვის უნარის მონიტორინგსაც უწყობს ხელს და იძლევა კითხვისა და წერის სტრატეგიების ინტეგრირების საშუალებას.

სქემის შესავსებად მოსწავლეებს განვითარებული უნდა ჰქონდეთ ისეთი უნარები, როგორიცაა აღქმა და ანალიზი, წარმოსახვა, იდეების ორგანიზება და სქემატურად დაკავშირება, დასურათება, წერა.

მასწავლებელს შეუძლია, სქემა თავისი გაკვეთილის მიზანს მოარგოს. მისი გამარტივება თუ გართულება იმის მიხედვით წყდება, რა სჭირდება სამუშაო ჯგუფს.

მნიშვნელოვანია სქემაზე მუშაობისადმი დამოკიდებულება. მოსწავლეს უნდა ეხალისებოდეს მასზე მუშაობა. არსებობს რამდენიმე საფეხური, რომლებიც მასწავლებელმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს:

- მასწავლებელმა მოსწავლეებს მათთვის გასაგებ ენაზე უნდა აუხსნას სქემის დანიშნულება და შევსების პროცედურა. მოსწავლეებმა უნდა იგრძნონ სქემაზე მუშაობის საჭიროება.
- მასწავლებელმა უნდა მოახდინოს სქემის მოდელირება. მან მოსწავლეებს თვალსაჩინოდ უნდა აჩვენოს, როგორ ივსება სქემა.
- ამის შემდეგ მასწავლებელი რთავს მოსწავლეს სქემის შევსებაში, აძლევს მას სქემის შევსების გაგრძელების საშუალებას.

- სქემა შეიძლება გამოყენებული იქნეს როგორც ჯგუფებში, ისე ინდივიდუალურადაც. ეს ყოველივე ხდება მასწავლებლის მეთვალყურეობით, რათა საჭიროების შემთხვევაში დროულად დაეხმაროს ბავშვს.

განვიხილავ ტექსტების პარალელების ანუ კავშირების დამყარების სქემას.

სწავლის პროცესში მნიშველოვანია კავშირის დამყარება ახალ და უკვე არსებულ ცოდნას შორის, მათი შედარება, პარალელების გავლება და მსჯელობა. კავშირების დასამყარებლად შეგვიძლია გამოვიყენოთ **სქემა N1,** რომელიც საშუალებას აძლევს მოსწავლეს, კითხვის დროს ტექსტში მოცემული ინფორმაცია დაუკავშიროს თავის გამოცდილებას, სხვა ტექსტებსა და გარე სამყაროს.



უპირველეს ყოვლისა, მოსწავლეებს გააცანით თემა, რომელსაც სქემას მოარგებთ. დაიწყეთ სქემაზე მუშაობა. გამოიყენეთ სქემაზე მუშაობის თითოეული ნაბიჯი.

მოსწავლეებს სქემაში შეაქვთ ტექსტში არსებული სამი ძირითადი ინფორმაცია, რომლებსაც უკავშირებენ

- საკუთარ გამოცდილებას;
- სხვა ტექსტის შინაარსს;
- გარე სამყაროს.

ასე მუშაობა მოსწავლეებს უვითარებს როგორც ტექსტის შინაარსის გააზრებისა და მისი სტრუქტურის აღქმის, ისე პარალელების გავლების უნარს.

გამოყენებული ლიტერატურა:

** „ვიზუალური სქემები და გრაფიკული ორგანიზატორები“*